თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი 29 აგვისტო 2011 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ანდღულაძე	–ქ. ქუთაისის მერის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
კოტე რატიანი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ანდრო მაღლაკელიძე	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ნოდარ მიქიაშვილი	–ქ.ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსის მოადგილე.
ცისმარდი მაღლაფერიძე	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საკონკურსო კომისიის მდივანი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქ. ქუთაისში მრავალბინიანი ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავებისა და სახურავის ზედა ნაწილების შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (11 ობიექტი) შესყიდვის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის (ქ. ქუთაისში მრავალბინიანი ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავებისა და სახურავის ზედა ნაწილების შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ დავით ანდღულაძემ.
კომისიის წევრებმა: კოტე რატიანმა, ნოდარ მიქიაშვილმა და ანდრო მაღლაკელიძემ.

დაადგინეს: 1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ ქ. ქუთაისში მრავალბინიანი ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავებისა და სახურავის ზედა ნაწილების შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (11 ობიექტი) სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტები.

2. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2011 წლის 1 სექტემბრის 12:00 საათამდე პერიოდი.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

4. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: დავით ანდღულაძე

კომისიის წევრები:

კოტე რატიანი

ანდრო მაღლაკელიძე

ნოდარ მიქიაშვილი

კომისიის მდივანი:

ცისმარდი მაღლაფერიძე